

წერიტი მეტყველების განვითარება - სწავლა-სწავლების აქტივების ქუსლი

ნინო მასურაშვილი

სურამის I საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
masurashvili.nino@gmail.com**ანოტაცია**

სტატიაში განხილულია კონკრეტული ქმედებანი, რომელთა საშუალებითაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითა და საბაზო საფეხურზე ხდება წერიტი მეტყველების დახვეწა და განვითარება. ყოველი აქტივობა შედეგზეა ორიენტირებული, პედაგოგის გამოცდილებისა და მიზანდასახული შრომის შედეგად მიგნებული და წარმოდგენილი. წერიტი და ზეპირი მეტყველების უალტერნატივო კონკურენტი თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიებია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, ამ მიმართულებით მათი მიზანდასახული გამოყენება სასწავლო პროცესში.

საკვანძო სიტყვები: სკოლა, მეტყველება, უნარი.

ნათქვამია, არ არსებობს იოლი და ხელსაყრელი სიმართლე, მის მიმართ თვალის გასწორება გვიჭირს, მით უფრო მაშინ, როდესაც გარკვეულწილად ჩვენი პასუხისმგებლობისა და გაწეული შრომის ანარეკლიც ჩანს ამ სიმართლეში.

ყოველ დროში რთული იყო წერა-კითხვის, ზეპირი და წერიტი მეტყველების განვითარება, არასოდეს ყოფილა იოლი ამ მიმართულებების სწავლება და სწავლა. მით უმეტეს, დღეს, როდესაც წიგნს, საწერ მასალასა და ცოცხალ მეტყველებას გამოუჩნდა უალტერნატივო კონკურენტი - ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგია (ისტ).

დასამალი არ არის, რომ ჩვენს მოსწავლეებს ძალიან უჭირთ სამივე მიმართულება --- წერა, კითხვა და ზეპირმეტყველება. ამჯერად წერიტი მეტყველების პრობლემას მინდა შევეხო, თუმცა, სამივე მათგანი იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ კომპლექსური მიდგომის გარეშე მიზნის მიღწევა შეუძლებელია. მშობლიური ენა სწავლა-სწავლების საშუალებაც არის და უცხო ენების შესწავლის საძირკველიც, ეს ფენომენი კი უფრო აფართოვებს მისი საფუძვლიანი შესწავლის მნიშვნელობას.

სტატიაში წარმოდგენილია ის რამდენიმე აქტივობა, რომელიც აღნიშნული პრობლემის დაძლევაში მეხმარება. მათი გამოყენება შესაძლებელია სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე.

ანალოგიები

მოსწავლეებისათვის ადვილი გასააზრებელია ანალოგიები რეალურ სიტუაციებთან. როცა ვამბობთ, რომ წინადადება სინტაქსური კონსტრუქციაა, თვალსაჩინოებისათვის შეიძლება ჩვეულებრივი კონსტრუქტორიც ვაჩვენოთ, რომლის დეტალებითაც ნაირგვარი ფიგურები მიიღება. სიტყვა ჩვეულებრივი საშენი მასალაა,

წინადადების „აშენება“ , ფრაზის გამართვა არ არის იოლი. მოსწავლეები აღიარებენ, რომ იციან , რაც უნდა დაწერონ, მაგრამ ვერ წერენ... ისინი გულახდილად საუბრობენ ამის შესახებ : --

- თავში ათასი აზრი მიტრიალებს, მაგრამ ვერ ვალაგებ...
- ერთ სიტყვას რომ დავწერ, ვცდილობ, შემდეგი აზრი მასზე ავაწყო და არ გამომდის...
- რაც მახსენდება, ვწერ... წავიკითხავ და აღარ მომწონს...

ფაქტია, რომ ჩვენი მოსწავლეები თეორიულად ნასწავლ კრიტერიუმებს პრაქტიკაში სათანადოდ ვერ იყენებენ.

გრამატიკული თამაშები

კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი გრამატიკული თამაშები წერიტი და ზეპირი მეტყველების განვითარების სწორი და მიზანმიმართული სტრატეგიაა. იგი სწავლების ნებისმიერ საფეხურზე შეიძლება გამოვიყენოთ. ამ დროს ავთენტური და სახალისო ხდება მეცნიერების ნორმათა სწავლისა და გამოყენების პროცესი.

ლოტო მეტყველების ნაწილებით

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	რიცხვითი სახელი	ნაცვალსახელი	ზმნა
ზმნიზედა	თანდებული	ნაწილაკი	კავშირი	შორისდებული

მუყაოს ფირფიტებზე დაწერილია მეტყველების ნაწილები (მზე, ბავშვი სამი, ირგვლივ, ვაკეთებ...). ერთი მოსწავლე ლოტოს პრინციპით ყუთიდან ამოიღებს სიტყვებს ... რა თქმა უნდა , რომელიც ამოჰყვება თითოეულ ჯერზე. მონაწილეებს წინასწარ აქვთ დარიგებული ფირფიტები მეტყველების ნაწილთა წარწერებით. გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელიც პირველი შეავსებს ფირფიტებს და სწორად. ე. ი. თუ ამოიკითხა მზე, უნდა მოათავსოს იმ უჯრაში , რომელსაც აწერია --არს. სახელი და ა.შ.

აირჩიე და ისაუბრე

წინასწარ შერჩეული ნახატები და ილუსტრაციები მოვითავსოთ მაგიდაზე, მოსწავლეთა ჯგუფი შეარჩევს ერთ მათგანს, წერენ ამბავს, მოთხრობასა თუ ნოველას მის მიხედვით. გამოავლენენ საუკეთესო ნაშრომს.

მოკარნახე ნახატები

დაფაზე გამოვაკრათ ნახატები, რომელთა მიხედვითაც შეადგენენ კომპოზიტებს. გამარჯვებულია ის, ვინც მეტს შეადგენს. ერთცნებიანი და ორცნებიანი სიტყვების მართლწერის წესი გათვალისწინებულია.

სინტაქსური დემოკრატია და ავტოკრატია

რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადების შესწავლა, სინტაქსური სინონიმის მნიშვნელობა ამ სახით ადვილად გასაგები და დასამახსოვრებელია. დემოკრატები (თანწყობა) და ავტოკრატები (ქვეწყობა) კითხულობენ ტექსტს და ინიშნავენ შესაბამის წინადადებებს. შემდეგ საპირისპირო ფორმით გადააკეთებენ წინადადებას და ისე წერენ.

სიტუაციური ამოცანები

ნინომ ბიბლიოთეკიდან წიგნი გამოიტანა, როცა კითხულობდა, არ მოეწონა. გოგონა დაბრუნდა ბიბლიოთეკაში და მუშაკს უთხრა :--- მომეცით სხვა საინტერესო წიგნი. ბიბლიოთეკარმა სწორად ვერ გაიგო ნინოს ნათქვამი და იმავე ჟანრის ლიტერატურა გაატანა. ნინო უკმაყოფილო დარჩა. დაეხმარეთ გოგონას და გაარკვიეთ , ნინოს ბრალია ეს გაუგებრობა თუ ბიბლიოთეკის თანამშრომლის?

კოლექტიური თხრობა

პირადად მე ძალიან მეხმარება აქტივობა -- კოლექტიური თხრობა. (ზეპირმეტყველება წერის სამსახურში). მოსწავლეები თითო წინადადებას ამბობენ მოცემული თემის შესახებ, ამ დროს მნიშვნელოვანია, მოუსმინონ, რათა იგივე არ გაიმეორონ , იფიქრონ იმაზე, რომ შემდეგი წინადადება ლოგიკურად დაამყარონ წინაზე. კლასი მობილიზებულია, ჩართულობა მაქსიმალური. აგრძელებს ის მოსწავლე, რომელსაც მასწავლებელი ან თვითონ მოსწავლე მიანიშნებს. „ვაშენებთ ერთად“ -- ასე ვუწოდებთ ამ პროცესს.

წერითი და ზეპირი მეტყველების ტიპები სწავლების სამივე საფეხურზეა წარმოდგენილი. სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია. მოსწავლეს უნდა შეეძლოს თხრობის, აღწერისა თუ მსჯელობის გამიჯვნა, ერთი ტიპის მეტყველებიდან მეორეზე ლოგიკური გადასვლა .

მოსწავლე კომენტატორი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა კომენტარების გაკეთება მოსწავლეების მიერ. ვთხოვთ მოსწავლეებს, შეაფასონ თანაკლასელის მიერ შესრულებილი წერითი თუ სხვა სახის დავალება.. ბუნებრივია, თავდაპირველად შესაძლებელია ამხანაგის გულისწყრომაც კი გამოიწვიოს თუნდაც სამართლიანად მიცემულმა რეკომენდაციამ, მოსწავლეები სულ რამდენიმე ცდის შემდეგ ეჩვევიან და მოსწონთ ეს პროცესი. ამ ფორმით მასწავლებელი ახერხებს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, რადგან ვინც არ ისმენს, კომენტარსაც ვერ გააკეთებს. მასწავლებელმა არ უნდა დაიშუროს პოზიტიური სტიმულები მოსწავლეთა მიერ კომპეტენტურად გაკეთებულ კომენტარზე. ვისაც ეს მეთოდი გამოუყენებია, დამერწმუნება, რომ მოსწავლეები არაჩვეულებრივ განმავითარებელ შეფასებებს აძლევენ ერთმანეთს.

მოუსმინე, გაასწორე , დაწერე

ზემოთ აღვნიშნე, რომ წერითი მეტყველების განვითარება ორთოეპიის (სწორმეტყველების) გარეშე შეუძლებელია. ამ მხრივ სახალისო და შედეგზე ორიენტირებული ქმედებაა, როდესაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, რომ მთელი გაკვეთილის განმავლობაში ნებისმიერ ფაზაში შენიშნული შეცდომები მასწავლებლის უკითხავად დაფაზე დააფიქსირონ... ანუ გამოდის მოსწავლე და წერს ზეპირმეტყველებისას აღმოჩენილ მცდარ ფორმას. თავდაპირველად შესაძლებელია ცოტა ეუხერხულოთ კიდევ , მაგრამ დამერწმუნეთ, მოეწონებათ და სულ მალე ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე აკეთებენ ამ აქტივობას. გაკვეთილის დასასრულს (რადგან მთელი გაკვეთილის განმავლობაში შეიძლება შეცდომის აღმოჩენა) მოსწავლეები

მყისიერად ასწორებენ და სწორ ფორმებს უწერენ გვერდით . უკეთესია, თუკი საშუალებაა , წებოვან ფურცლებზე ჩაიწერონ და დაფაზე მიაკრან უკუღმა, რადგან გაკვეთილის მსვლელობისას არ მოხდეს ყურადღების გადატანა მასზე. ძალიან უხარიათ, როდესაც აღმოჩენილი შეცდომები მინიმუმია. ეს აქტივობა მოსწავლის პასუხისმგებლობას, ჩართულობასა და მოტივაციას იძულების გარეშე ამადლებს, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მთავარი მიზანია მართლმეტყველება , მართლწერა და ფრაზის გამართვა.

დაწერე კლასში

მნიშვნელოვანია, რომ კლასში ხშირად შეასრულონ წერითი დავალება, თუნდაც ძალიან მცირე. დროის დაზოგვის, წახალისებისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით შესწორებისათვის რამდენიმე მოსწავლე მეხმარება.

სულ ორი წუთია საჭირო მოკლე და სხარტი კომენტარის გასაკეთებლად. ეს მეთოდი გამართლებულია მრავალრიცხოვან კლასშიც, თუ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა ორგანიზება და კლასის მართვა. საშინაო დავალების შესრულების სტრატეგიები, ზოგადი ინსტრუქციები და რჩევები ერთობლივად შევიშუშაოთ კლასში. სწავლის სწავლა მრავალმხრივ ასპექტებს გულისხმობს და მათ შორის უმნიშვნელოვანესია წერის სწავლა. წერითი დავალების ტიპსა და სახეზეა დამოკიდებული, როგორ უნდა დაიგეგმოს შესრულების პროცესი. ამ მიზნით, დროდადრო კლასში ვაწერინებ საშინაო დავალებას. გამოითქმება მოსაზრებები, დავალების შესრულების გზები და ვარიანტები.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლის შეფასებისას განსაზღვრული წონა გააჩნია შემაჯამებელ დავალებას . ხშირად ხდება, რომ მოსწავლე მხოლოდ ნიშანზეა ორიენტირებული ან, პირიქით, ნიშანი არც აინტერესებს. შეცდომების გასწორება და მათზე დაკვირვება ამ შემთხვევაში ზედაპირულია. მოსწავლის მოტივირების მიზნით დროდადრო მათ ფანქრით ვასწორებინებ ნაწერებს. პირობა ასეთია, თუ ნაშრომში შეცდომას აღმოაჩენენ, შეუძლიათ გაასწორონ და ეს ნიშანზე არ იმოქმედებს... თუ ერთი და იმავე ტიპის შეცდომა რამდენჯერმე განმეორდა --- ნიშანზე აისახება. პროცესის დასრულების შემდეგ ვახდენთ შეცდომების კლასიფიცირებას --- მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სტილისტურ თუ პუნქტუაციურ შეცდომებს აჯგუფებენ და მოსახერხებელი ფორმით წერენ წინასწარ გამზადებულ დიაგრამაში (სასურველია ფორმატზე მარკერით , რადგან ეს უკვე სასწავლო რესურსია და შეიძლება კლასში გამოიკრას .)

ისტ ტექნოლოგია წერითი მეტყველების სამსახურში

წერითი და ზეპირი მეტყველების უალტერნატივო კონკურენტი თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიები. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ამ მიმართულებით მათი მიზანდასახული გამოყენება სასწავლო პროცესში. პრეზენტაციებისა და სხვახასხვა დანიშნულების ტექსტების მომზადება, ინფორმაციების მოძიება თუ პროექტებზე მუშაობა წერილობითი ფორმით უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ. მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ ასეთი დავალებები კომპენსირებული იყოს ხელნაწერებთან. ელექტრონული ვერსიით წერა მნიშვნელოვანი აქტივობაა , თუკი მოსწავლე თვითონ ფიქრობს, ქმნის, ანალიზებს და მსჯელობს. (მასალის გადმოწერა და კოპირება იკრძალება, გარდა

ციტირებისა) . ორიგინალური ნაშრომისა და კოპირების ამოცნობა კი სირთულეს არ წარმოადგენს.

არ არსებობს იდეალური ფორმა, მეთოდი თუ აქტივობა წერიტი და ზეპირი მეტყველების შესასწავლად. მასწავლებლის მონდომებასა და პასუხისმგებლობაზე, მოსწავლის მოტივაციასა და ძალისხმევაზე დამოკიდებული მისაღწევი თუ მიღწეული შედეგები. კარგი მასწავლებლის მოსწავლეები კარგად წერენ და მეტყველებენ... კარგი მასწავლებლობა კი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პედაგოგმა თვითონ იცის საგანი... რა იციან ჩვენმა მოსწავლეებმა ? ... ამ კითხვაზე გაცემული პასუხი განსაზღვრავს ჩვენს კვალიფიკაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011 – 2016 წწ.
2. კითხვის მეთოდები 2012